

პროსპერ მერიმეს ნოველის „კარმენი“ და ჟორჟ ბიზეს ოპერის "Carmen" კომპარატიული ანალიზი

საკვანძო სიტყვები: პროსპერ მერიმე, ჟორჟ ბიზე, კარმენი, ნოველა, ოპერა, ლიბრეტო

პროსპერ მერიმეს ნოველა „კარმენი“ დაიწერა 1845 წელს, ჟორჟ ბიზეს ოპერა 1875 წელს. მერიმეს ტექსტი მისი შექმნიდან მხოლოდ პირველი 30 წლის განმავლობაში იკითხებოდა როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ნაწარმოები. 1875 წლის შემდეგ კი მისი მუდმივი „მეგზურია“ ბიზეს ოპერა. გვინდა თუ არ გვინდა, ამ ნოველის მკითხველი მუდამ აგლებს პარალელებს ბიზეს ოპერასთან.

როგორც კი ვახსენებთ „კარმენს“, ყველას პირველ რიგში ჟორჟ ბიზეს ოპერის მუსიკა ახსენდება, და მხოლოდ მერე გვახსენდება პროსპერ მერიმეს ნოველა.

ძნელია ამ ნაწარმოებს კონკურენცია გაუწიო, იმდენად შთამბეჭდავია ამ ოპერის მუსიკალური დრამატურგია, მისი მელოსი, მელოდიკა და რიტმები მსმენელის მეხსიერებაში მომენტალურად ჩაიბეჭდება, თანაც ისე, რომ აღარასოდეს არ დაგავიწყდება. პირველ რიგში გვახსენდება ჰაბანერა, სევიდილია და ტორეადორის კუბლეტები. ეს სამი „ჰიტი“ ამ ოპერის პოპულარულ და ამავე დროს პოპულისტურ საფიტიზო ბარათს წარმოადგენს.

ჰაბანერაში წამყვანი თემაა სიყვარული და თავისუფლება, მაგრამ ამავე დროს ის შეიცავს გაფრთხილებას, რომ ეს გრძნობა საშიშია. ჰაბანერა კარმენის კრედაა.

„The Habanera! What a shiver its first notes always gave one! How wild, sudden, strange and inescapable was love! ‘L’amour est enfant de Bohème’ . . . !“¹
„ჰაბანერა! როგორი ჟრუანტელი გვიბყრობს მისი პირველი ჰანგებისთანავე! რა ველური, უცაბედი, უცნაური და შეუქცევადია სიყვარული! L’amour est enfant de Bohème’ !“ (თარგმანი მ. პაიჭაძის)

სევიდილია ვნებიანი ქალის ვნებიანი გამოწვევაა, რაც ჰაბანერას, როგორც კარმენის კრედოს, ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.

ტორეადორის კუბლეტები ბრავურული გამბედაობის სადღევრძელოა და ბედისწერასთან გამუდმებულ შერკინებაში მყოფი ადამიანის სიამაყის აპოთეოზია.

„The band was finishing off Carmen with the Toreador’s song. A blot on the opera, its most popular tune! No, not a blot, for it was meant, of course, to blare above the desolation of that tragic end, as the world blared around the passion of lovers. The world was a heedless and a heartless stage for lives to strut across, or in dark corners join and cling together . . .“²

„ორკესტრი ასრულებს კონცერტს ტორეადორის სიმღერით. ეს ოპერის სამარცხვინო ლაქაა, მისი ყველაზე პოპულარული მელოდია! თუმცა არა, სამარცხვინო ლაქა არ არის, რადგან ამ სიმღერის დანიშნულებაა ჩააშხოს ოპერის ტრაგიკული

1 Galsworthy, John. Flowering Wilderness. Chapter 20. Penguin Books, London, 2001. P. 444.

2 იქვე, P. 444-445.

ფინალის უნუგეშობა ისევე, როგორც სამყარო ნათდება შეყვარებულთა სიყვარულის თავზე. სამყარო წარმოადგენდა უდარდელ და უგულო სცენას, სადაც ცოცხლობდნენ ადამიანები, სცენას, რომელზეც ადამიანებს შეეძლოთ ამაყად სიარული ანდა ბნელ კუთხეებში ჩახუტებოდნენ და ჩაბლაუჭებოდნენ ერთმანეთს...“ (თარგმანი მ. პაიჭაძის).

მე განგებ არ მომყავს აქ მუსიკათმცოდნეების გამონათქვამთა ციტატები, არამედ მოვიყვანე ცნობილი ინგლისელი მწერლის, ჯონ გოლზუორთის გამონათქვამი მისი რომანიდან „თავის დასასრული“ / „End of the Chapter“ (მეორე ნაწილი - „ყვავილი უდაბნოში“ - „Flowering Wilderness“). ჯონ გოლზუორთი კლასიკური მუსიკის ღრმა მცოდნე იყო და მის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი „ფორსაიტების საგაში“, უხვად ვხვდებით პასაჟებს ამა თუ იმ კომპოზიტორის ნაწარმოებების შესახებ. ეს მწერლისეული შეფასებები ფრიად ტევადი და ბევრის მოქმედია მკითხველისათვის. რატომ უწოდებს გოლზუორთი ტორეადორის კუბლეტებს ოპერის სამარცხვინო ლაქას და რატომ ავრცობს შემდგომ თავის აზრს? რა თქმა უნდა, ტორეადორის კუბლეტების ხმამაღალი ბრაგურული მუსიკა საჭიროა ოპერის დრამატიზმის გადასაფარად. გარდა ამისა, ესკამილიო გმირია ესპანურ საზოგადოებაში და კარმენისნაირი ქალი მისი მუდმივი მეგზური ვერ გახდება. თუმცა „მუდმივობა“ ის სიდიდეა, რომელიც კარმენის შემთხვევაში არ მუშაობს. ამ ცნებას ძალა არ აქვს. კარმენი სწორედ რომ წამიერი გრძნობებით ხელმძღვანელობს და ეძებს მიზეზს, რომ დონ ხოზე გააბრაზოს და გადაადგმევინოს საბედისწერო ნაბიჯი.

კვლავაც არა-მუსიკათმცოდნეს - ფრიდრიხ ნიცშეს დავიმოწმებ. საგულისხმოა ფრიდრიხ ნიცშესეული შეფასება ბიზეს მუსიკისა მის ესეიში „გაგნერიანიზმის საკითხი“ / „Der Fall Wagner“ (1888): ნიცშე წერს, რომ ხშირად უსმენს ბიზეს მუსიკას, რადგან ის მას აკეთილშობილებს. ამას გარდა ბიზეს „კარმენის“ საორკესტრო ჟღერადობა ერთადერთია, რომლის ატანაც მას - ნიცშეს - შეუძლია (ვაგნერის მუსიკისგან განსხვავებით). ამ ოპერის მუსიკა მდიდარია, დახვეწილი და ფატალისტური, ამასთან ის პოპულარულია. განა ვინმეს მოუსმენია სცენაზე ასეთი ტკივილით სავსე ტრაგიკული აქცენტები მუსიკაში? ბიზეს ოპერა მაღალი სტილის ნაწარმოებია ყოველგვარი სიყალბისა და ტყუილის გარეშე.³


დიახ, მუსიკა და დრამატურგია დიდებულია. ბიზეს „კარმენის“ დრამატურგია დიდწილად ეყრდნობა ლიტერატურულ პირველწყაროს.

პროსპერ მერიმე ის მწერალია, რომლის სახელის ხსენებაზე მაშინვე გვახსენდება მისი რომანი „შარლ IX-ის მეფობის ქრონიკა“ და ნოველები „მატეო ფალკონე“, „ტამანგო“, „ეტირუსკული ლარნაკი“ და „კარმენი“.

პროსპერ მერიმე (1803-1870) ფრანგული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია, თუმცაღა მის თხზულებებს გარკვეულწილად რომანტიკული ელფერიც დაჰრავს. სტენდალის მეგობარი და თაყვანისმცემელი, ასევე ვიქტორ ჰიუგოს დიდი მოტრფიალე, მერიმე ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მაინც უფრო რეალისტურ მიმართულებას ირჩევს.

3 Nietzsche, Fr. Der Fall Wagner. 1888. S. 1. Zit. Nach: http://www.zeno.org/Philosophie/M/Nietzsche,+Friedrich/Der+Fall+Wagner/Der+Fall+Wagner#google_vignette

სამწუხაროდ, პროსპერ მერიმეს კალამს არ ეკუთვნის ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები, მაგრამ მისი შემოქმედება მოიცავს მრავალ ნარკვევს ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ, კულტურულ სფეროში.



პროსპერ მერიმე (1803-1870).

მისი ლიტერატურული თხზულებებიდან აღსანიშნავია:

პიესები

- Cromwell (1822) – „კრომველი“
- Le Théâtre de Clara Gazul (1825) – „კლარა გაზულის თეატრი“
- La Jacquerie (1828) – „უაკერია“
- Le carrosse du Saint-Sacrement (1829) – „სენ-საკრემანის ეტლი“

პოეზია

La Guzla (1827) – პოეტური კრებული „გუზლა“

რომანი

Chronique du règne de Charles IX (1829) – „შარლ IX-ის მეფობის ქრონიკა“

ნოველები

- Matteo Falcone (1829) – „მატეო ფალკონე“
- Vision de Charles XI (1829) – „შარლ XI-ის ხილვა“
- L'enlèvement de la redout (1829) – „რედუტის აღება“
- Lettres d'Espagne (1832) – „წერილები ესპანეთიდან“
- Tamango (1829) – „ტამანგო“
- Federigo (1829) – „ფედერიგო“
- Le Vase étrusque (1830) – „ეტრუსკული ღარნაკი“
- La Partie de trictrac (1830) – „პარტია ტრიკ-ტრაკში“
- Mosaïque (1833) – „მოზაიკა“
- La Double Méprise (1833) – „ორმაგი შეცდომა“
- Les Âmes du purgatoire (1834) „სულები განსაწმენდელში“
- Notes de voyages (1835–1840) – „მოგზაურობის ჩანაწერები“
- La Vénus d'Ille (1837) – „ილის ვენერა“
- Notes d'un voyage en Corse (1840) – „კორსიკაზე მოგზაურობის


ჩანაწერები“

- Colomba (1840) – „კოლომბა“
- Arsène Guillot 1844 – „არსენა გიიო“
- L'Abbé Aubain 1844 – „აბატი ობენი“
- Carmen (1845) – „კარმენი“
- Il Vicolo di Madama Lucrezia (1846) – „მადამ ლუკრეციას პატარა ქუჩა“
- Dictée de Mérimée (1857) – „მერიმეს კარნახები“
- La Chambre bleue (1866) – „ლურჯი ოთახი“
- Lokis (1869) – „ლოკისი“
- Djoûmane (1870) – „ჯუმანი“
- Lettres à une inconnue (1874) – „წერილები უცნობ ქალბატონს“

პროსპერ მერიმეს კალამს ეკუთვნის აგრეთვე პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევის, გოგოლის ნაწარმოებების თარგმანები ფრანგულ ენაზე.

პროსპერ მერიმე იყო თავისუფალი მოაზროვნე, მგზნებარე ათეისტი, ყოველივე რეაქციულის მოწინააღმდეგე, იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ოჯახის დაახლოებული პირი, მეორე იმპერიის სენატორი, მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების მუდმივი სტუმარი, ამავე დროს თავშეკავებული მოსაუბრე, ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა დიდი შრომისუნარიანობით. პროსპერ მერიმემ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი დაუთმო სახელმწიფო სამსახურს - 1834 წელს ის გახდა საფრანგეთის ისტორიული ძეგლების დაცვის დეპარტამენტის უფროსი, რის გამოც ხშირად უწევდა მოგზაურობა. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა მან პრაქტიკულად დაასრულა მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს. გამონაკლისია სამი ნოველა - „ლურჯი ოთახი“ (1866), „ჯუმანი“ (1870) და „ლოკისი“ (1869), რომლებიც პ. მერიმემ თავისი სიცოცხლის მიწურულს შექმნა. და ალბათ ამ უკანასკნელში მან უღალატა რეალიზმს ფიქციონალური მისტიციზმის სასარგებლოდ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მერიმე ნოველის დიდოსტატია. სწორედ ამ ჟანრში შექმნილი მისი „კარმენი“ დაიწერა 1845 წელს, იმავე წლის 1 ოქტომბერს დაიბეჭდა საფრანგეთის წამყვან ლიტერატურულ ჟურნალში „La Revue des deux mondes“, ხოლო წიგნად პირველად გამოიცა 1846 წელს.⁴



ნოველა „კარმენის“ პირველი გამოცემის ყდა, 1846.

1830 წელს პ. მერიმე ესპანეთში მოგზაურობს. მან დიდი დრო დაჰყო პრადოს მუზეუმში მადრიდში, ესწრებოდა კორიდას, სწავლობდა მავრიტანულ არქიტექტურას კორდოვასა და სევილიაში. 1830 წლის ოქტომბერში პ. მერიმემ გაიცნო ესპანელი არისტოკრატი გრაფი მონტიხო. მერიმესა და მონტიხოს ბევრი საერთო ინტერესი აღმოაჩნდათ. მერიმემ გაიცნო გრაფის მეუღლე და მათი იმ დროს ოთხი წლის გოგონა ეუხენია, რომელიც მოგვიანებით, 1853 წელს ნაპოლეონ მესამის ცოლი, დედოფალი ეუენი გახდება. კარმენის შესახებ მერიმემ პირველად გრაფის მეუღლისგან შეიტყო, რაც მის ესპანური მოგზაურობის ნარკვევებში აისახა, რომლებიც პ. მერიმემ 1832 წელს გამოაქვეყნა. მონტიხოს სახლში მერიმემ გაიცნო ასევე ესპანელი მწერალი ესტებან კალდერონი, რომლის წიგნიც „ანდალუსიური სცენები“ მერიმესათვის ესპანური ნოველის დაწერის ძირითადი წყარო გახდა. მერიმეს ესპანეთი არის პიტორესკული, ბურლესკული ესპანეთი, რომელიც დასახლებულია ეგზოტიკურად ჩაცმული, ვიტარაზე დამკვრელი რაინდებით, ეს არის იდაღოების, ბერების, ქურდების, მოხეტიალეების, პოეტების, მსუბუქი ყოფაქცევის ქალების ესპანეთი, ანუ ესპანეთი, რომელიც ხშირად აღუწერიათ სხვა ფრანგ

4 Boynton, Susan (n. d.). “Bizet: Carmen – Prosper Mérimée’s Novella, Carmen. www.columbia.edu.

მწერლებსა და პოეტებს.⁵

ნოველა „კარმენი“ მერიმეს შემოქმედების მეორე ეტაპს მიეკუთვნება და ამდენად მოწიფული მწერლის თხზულებაა. მასში მწერალი იყენებს თხრობის თავისებურ ტექნიკას - მოთხრობელისა და ავტორის ხმა გაერთიანებულია და თხრობა, რომელიც პირველ პირშია გადმოცემული, პირველ, მეორე და მეოთხე თავში ავტორისეული და მოთხრობელის პირველი პირია, მესამე თავში კი - ნოველის საკვანძო პერსონაჟის - დონ ხოზეს პირველი პირია. მესამე თავი წარმოადგენს საკუთრივ „კარმენის“ ფაბულას.

პირველი და მეოთხე თავები ერთგვარი პროლოგი და ეპილოგია, ჩარჩო, ხოლო მეორე თავი წარმოადგენს მოთხრობელისა და ავტორის ხმების შეყვანას მოქმედებაში. ეს პროცესი ნაწილობრივ პირველ თავში იწყება, ანუ ექსპოზიციაში, რომელსაც კიდევ უფრო ავრცობს მწერალი და გადააქვს მეორე თავშიც. მეორე თავი ამას გარდა ეთმობა კარმენის შემოყვანას თხრობაში, რომელსაც ჯერ ავტორ-მოთხრობელის მხრიდან ვეცნობით, ხოლო მესამე თავში ამბავს მთლიანად დონ ხოზე ყვება და ყველა შეფასება თუ დახასიათება მისი პოზიციიდანაა მოცემული. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ნოველაში საქმე გვაქვს თხრობის ჰომოდიეგეტურ აუქტორიალურ ტიპთან.⁶ საგულისხმოა, რომ პ. მერიმე ამ ნოველაში იყენებს ტექსტის დასასრულის თავისებურ ხერხს - ერთგვარი ექსკურსის შემდეგ ბოშათა ზნე-ჩვეულებებისა და ენობრივი თავისებურებების შესახებ ავტორი დასძენს:

„ეს საკმარისია იმისათვის, რომ „კარმენის“ მკითხველებს ჩემთვის ხელსაყრელი შთაბეჭდილება შევუქმნა ჩემს მიერ რომანის შესწავლის შესახებ. მე ერთი ანდაზით დავამთავრებ, რომელიც აქ სწორედ შესაფერისია: „En retudi panda nasti abela macha“, - მოკუმულ პირში ბუზი ვერ შეფრინდება“.⁷ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ანდაზა ავტორისეულია და არ არის ესპანური ხალხური შემოქმედების ნაყოფი. ის ისეთივე ფსევდო-ეთნოგრაფიული წიაღისგლის ავტორისეულ გამოვლენას წარმოადგენს, როგორც მთელი მეოთხე თავი. პროსპერ მერიმე ხომ ცნობილი იყო თავისი მისტიფიკაციებით. ამიტომაც დატოვა თავიდან ამ ნაწარმოებმა მოგზაურობის ნარკვევის შთაბეჭდილება და არც ერთმა პროფესიონალმა კრიტიკოსმა ის არ განიხილა.⁸ აღიარება მოვიდა მოგვიანებით.

საინტერესოა თავად სახელის „კარმენი“ ეტიმოლოგია და სიმბოლიკა - ებრაულად *kerm el* ნიშნავს ღმერთის ვენახს, ან უფრო ფართო გაგებით

5 Kogelnig, Werner, Auf der Suche nach dem Ailleurs. Der Exotismus in ausgewählten französischen Novellen des 19. Jahrhunderts: Mérimée, Stendhal, Balzac und Maupassant. Dissertation. Alpen-Adria-Universität Klagenfurt, 2009.

6 F. K. Stanzel. Theorie des Erzählens. Vandenhoeck & Ruprecht. UTB. 7. Aufl. Göttingen 2001. S. 109-130; S. 242-268.

7 მერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრა L, 2011, გვ. 157.

8 Robinson, Peter (1992). “Mérimée’s Carmen”. In McClary, Susan (ed.). Georges Bizet, Carmen. Cambridge University Press. P.1. (<https://assets.cambridge.org/97805213/93010/sample/9780521393010ws.pdf>)

- ხეხილის ბაღს ანდა ნაყოფიერ მიწას, ასევე ღმერთის სიმღერას, გალობას, რაც მომდინარეობს ლათინური მნიშვნელობიდან - სიმღერას ან ქებათა ქებას, სახოტბო სიმღერას; საგარაუდოდ კარმენი კერმელის ალერსიანი ფორმაა, დამაჯერებელია თომას ვირგოს მინიშნება „Virgen del carmen“-ზე, ანუ „ქალწული წმინდა მთა კარმელიდან“, რომლის ზეიმიც ყოველწლიურად აღინიშნება დიდი პომპეზურობით ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში და რომელიც იმდენად პოპულარულია ესპანურენოვან სამყაროში, რომ სახელი „კარმენი“ მარიამის შემდეგ ყველაზე გავრცელებულ ქალის სახელად იქცა. ამ ბიბლიურ-ქრისტიანულ გენეალოგიაზე მერიმეს ტექსტში არის გარკვეული მინიშნება. ბიზეს ოპერაში კი გააქტიურებულია მხოლოდ ლათინური ეტიმოლოგია - კარმენი - სიმღერა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზეს დროს „კარმენი“ პროსტიტუირებული ქალის აღმნიშვნელი გავრცელებული სახელი იყო.⁹

პროსპერ მერიმეს ნოველაში „კარმენი“ მოცემულია მშვენიერი ლანდშაფტური ჩანახატები, რომლებიც შინაარსობრივი ფორმის ელემენტებია. ასევე ტექსტში მრავლად არის მოხსენიებული ყვავილები და ხილი როგორც კარმენის პერსონაჟის მახასიათებლები - აგაცია, ჟასმინი, ფორთოხალი, ლიმონი.

ოპერის ლიბრეტოსთან შესადარებლად აუცილებლად გვჭირდება ყურადღების გამახვილება ისეთ ნიუანსებზე, როგორიცაა დონ ხოზე და კარმენის სახე - მათი დახასიათება მერიმესთან. ამიტომ ტექსტის გარკვეულ პასაჟებს დავყვართ.

დონ ხოზე

დონ ხოზე მერიმესთან დახასიათებულია შემდეგნაირად: პირველ თავში: ქერა თმა, ცისფერი თვალები, დიდი პირი, ლამაზი კბილები, პატარა ხელები,...¹⁰ დონ ხოზე მშვენიერად მღერის და უკრავს მანდოლინაზე. მისმა მკაცრმა და კეთილშობილმა სახემ ავტორს ჯონ მილტონის სატანა გაახსენა.¹¹

მეორე თავში:

დონ ხოზე პატიმარია და ელოდება განაჩენის სისრულეში მოყვანას. მასთან მოსულ ავტორ-მოთხრობელს დონ ხოზე სთხოვს ჩავიდეს პაშლონაში, იქ ერთ კეთილ ქალს გადასცეს მისი ვერცხლის მედალიონი და უთხრას, რომ მოგვდა, მაგრამ არ უთხრას - როგორ¹². მკითხველი ხვდება, რომ ხოზე დედამისს გულისხმობს.

9 Möller, Kirsten: Carmen: Ein Mythos in Literatur, Film und Kunst. Böhlau, Köln, Weimar, Wien 2010. S. 7-8.

10 მერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრა L, 2011, გვ. 93.

11 მერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრა L, 2011, გვ. 95. „პატარა მაგიდაზე დადებული ლამპის შუქით განათებული მისი კეთილშობილი და მკაცრი სახე მილტონის სატანას მაგონებდა, ვინ იცის, იქნებ მისი აზრიც მიტოვებულ სამყოფელს დასტრიალებდა, იქნებ ისიც მასავით იმ დევნაზე ფიქრობდა, რომელსაც რაღაც შეცოდებასავით განიცდიდა. გეცადე გამოძევებული საუბარი, მაგრამ ის ისე იყო თავის ნაღვლიან ფიქრებში წასული, რომ არ მიპასუხა“.

12 იქვე, გვ. 110.

მესამე თავში:

დონ ხოზე გვიამბობს, რომ არის ნავარას პროვინციაში, ელიზონდოში დაბადებული ბასკი იდალგო, სახელად დონ ხოზე ლისარაბენგოა. რომ ჩნების გამო თავისი სამშობლოს დატოვება მოუხდა და გზად დრაგუნებს შეხვდა, რის შემდეგაც ის მოხალისედ შევიდა ალმანზას ცხენოსან ლეგიონში და მალე ბრიგადირიც გახდა. სამხედრო კარიერის გაკეთებას აპირებდა, რომ არა საბედისწერო შეხვედრა კარმენტან სევილიას თამბაქოს ფაბრიკასთან.¹³

კარმენი

კარმენტანის დახასიათება ავტორ-მოთხრობელის მიერ:

მეორე თავი:

ავტორი ხვდება კარმენტანს ერთ საღამოს კორდოვაში სანაპიროზე - მის თმაში გარჭობილი იყო ჟასმინის თაიგული. ქალს ღარიბულად ეცვა. ქალი იყო პატარა, კონტა ტანი ჰქონდა და დიდი თვალები.¹⁴ კარმენტანის სიღმამის თავისებურებას ავტორი აღწერს ვრცელ პასაჟში, რომლიდანაც ვიგებთ, რომ კარმენი ბოშა იყო, თუმცა არა წმინდა სისხლის ბოშა, რადგან ის გაცილებით უფრო ლამაზი იყო, ვიდრე სხვა ბოშები.

„მისი კანი თუმცა სრულიად გლუვი იყო, სიმუქით სპილენძის ფერს უახლოვდებოდა. თვალის ჭრილი ირიბი, მაგრამ ძლიერ წარმტაცი ჰქონდა, ტუჩები ცოტა მსხვილი, მაგრამ კარგი მოყვანილობის, და მათ უკან კანგადაცლილ ნუშზე უფრო თეთრი კბილები მოუჩანდა. მისი ვრძელი და მზინავი თმა, შეიძლება ცოტა მაგარი და უხეში, შავი ფერის იყო და ზედ ყოვლის ფრთასავით ოდნავ სილურჯე გადაჰყრავდა“.¹⁵

მესამე თავი

კარმენტანს ახასიათებს დონ ხოზე:

„ზევით ავიხედე და ის დავინახე. ეს მოხდა პარასკევს, ის დღე არასოდეს არ დამავიწყდება. დავინახე კარმენი ... მას წითელი, ძლიერ მოკლე ქვედატანი ეცვა, რომელიც ვერ უფარავდა თეთრ აბრეშუმის დაგლეჯილ წინდებს და ალისფერი ბანტებით შეკრულ კოპშია წითელ ფეხსაცმელებს. მანტილია გადაეხადა, რათა მხრები და პერანგზე მიმაგრებული აკაციის დიდი თაიგული გამოეჩინა. აკაციის ერთი ყვავილი კბილებით ეჭირა და კორდოვას საჯიშე ფაშატივით თეძოების რხევით მოდიოდა“.¹⁶

ფრანგულად დედანში აკაციის ნაცვლად ნახსენებია „კასიას ყვავილი“ (un gros bouquet de cassie). იგივე ყვავილია მოხსენიებული ლიბრეტოს რეპარკაში ჰაბანერას წინ:

¹³ მერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრა L, 2011, გვ. 110-111.

¹⁴ იქვე, გვ. 101-102.

¹⁵ იქვე, გვ. 104-105.

¹⁶ მერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრა L, 2011, გვ. 112.

La voilà! La voilà !

Voilà la Carmencita!

(Elle a un bouquet de cassie à son corsage et une fleur de cassie au coin de la bouche. Des jeunes gens entrent avec Carmen. Ils la suivent, l'entourent, lui parlent. Elle minaude et coquette avec eux. Don José lève la tête. Il regarde Carmen puis se remet tranquillement à travailler).¹⁷

(კარმენს ლიფზე დამაგრებული ჰქონდა კასიის ყვავილი, იგივე ყვავილი ჰქონდა პირის კუთხეში. მასთან ერთად შემოდის რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცი. ისინი მას გარს ეხვევიან და ეარშიყებიან. კარმენიც მათ ეკეკლუცება. დონ ზოზე თავს წევს. კარმენს უყურებს, შემდეგ კი მშვიდად აგრძელებს მუშაობას). – (თარგმანი მ. პაიჭაძის).

მაგრამ რადგანაც კასიის ყვავილი ნაკლებად იყო და არის ცნობილი ჩვენში, იგი თარგმნეს როგორც აკაცია. სხვათაშორის, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ, რუსულ და ინგლისურ თარგმანებშიც აკაციაა მოხსენიებული.

საგულისხმოა შემდეგი პასაჟი, რომელიც ბიზეს ოპერაში დრამატურგიულად ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანსცენად იქცა: ჰაბანერას შესრულების ბოლოს კარმენი დონ ზოზეს ყვავილს ესვრის შუბლში - უმეტესწილად ეს ყვავილი არის წითელი ვარდი, მერიმესთან კი ვარდი საერთოდ არ არის ნახსენები კარმენის ატრიბუტებს შორის. აი ეს პასაჟი:

„მერე გამოიღო პირიდან ყვავილი, ცერის ერთი მოძრაობით მესროლა და შიგთვალეს შუა მომახვედრა. ბატონო ჩემო, მომეჩვენა, თითქოს ყვავილი კი არა, ტყვია მომხვდა... არ ვიცოდი სირცხვილისაგან სად დავმალულიყავი, ადგილზე გავშემდი. როდესაც ფაბრიკაში შევიდა, ჩემს ფეხთან დაცემული ყვავილი დავინახე. არ ვიცი რამ მაქნევინა, დავინახე, ის ყვავილი ამხანაგებისაგან შეუმჩნეველად ავიღე და მოწიწებით შევინახე ქურთუკის უბეში. პირველი სისულელე!“.¹⁸

ამ უბეში შენახულ ყვავილს შემდეგ ციხიდან გამოსული დონ ზოზე კარმენს უჩვენებს. ამ სიტყვებით იწყება მისი ერთადერთი არია ოპერაში:

(Il va chercher sous sa veste d'uniforme la fleur de cassie que Carmen lui a jetée au premier acte).

La fleur que tu m'avais jetée,

Dans ma prison m'était restée.¹⁹

მარჯვენა ხელით ზოზემ ამოიღო უბიდან ყვავილი, რომელიც მას კარმენმა მესროლა პირველი მოქმედებაში) ყვავილი, რომელიც მესროლე, ციხეში სულ ჩემთან იყო ... (თარგმანი - მ. პაიჭაძის).

17 Bizet, Georges. Carmen. Peters-Textbücher (französisch/Deutsch). Edition Peters, Leipzig, 1982. S. 44.

18 მერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრა L, 2011, გვ. 113.

19 Bizet, Georges. Carmen. Peters-Textbücher (französisch/Deutsch). Edition Peters, Leipzig, 1982. S. 150.

ყველა ეს დეტალი ძალზე მნიშვნელოვანია მხატვრული ტექსტის მთავარი საზრისის და დრამატული კოლიზიის განვითარებისათვის. მე არ ვაპირებ შინაარსის მოყოლას, რომლის ფაბულაც ყველამ ისედაც კარგად იცის. ჩემთვის მთავარია გავიგოთ, რომ დონ ხოზეს სოციალური და მორალური დევრადაცია მთლიანად გამოწვეულია მისი კარმენისადმი დაუოკებელი სიყვარულით და ჩიხური სიტუაციით, რომელშიც ის ჩავარდება ამ ქალის გამო - ერთის მხრივ თავისი მოვალეობის არ შესრულება, შემდეგ დეზერტირობა, მერე მკვლელობა... ამიტომ ის იძულებულია დათანხმდეს კარმენის შემოთავაზებას გახდეს კონტრაბანდისტი.

კარმენი კი თავის კრედოს მიყვება, რომელიც ტექსტის ფინალში ექსპლიციტურად არის გაშლილი და მესამე თავის თითქმის ნახევარს მოიცავს.

„Carmen sera toujours libre. Calli elle est née, calli elle mourra.

— Tu aimes donc Lucas ? lui demandai-je.

— Oui, je l’ai aimé, comme toi, un instant, moins que toi peut-être. À Présent, je n’aime plus rien, et je me hais pour t’avoir aimé“.²⁰

„კარმენი მუდამ თავისუფალი იქნება. Calli-დ დაბადებულია და Calli-დ მოკვდება.

- მაშ შენ ლუკასი გიყვარს? - გკითხე.

- ჰო, მე ის შენსავით მიყვარდა ცოტა ხანს, შეიძლება შენზე ნაკლებად მიყვარდა, ამჟამად კი აღარავინ არ მიყვარს. ჩემი თავი მძულს იმისთვის, რომ შენ მიყვარდი“.²¹

პროსპერ მერიმეს ნოველა „კარმენი“ გამოიცა 1845 წლის ოქტომბერში ჟურნალში „Revue des deux mondes“ და თავის მკითხველს 7 წელი ელოდა, სანამ 1852 წელს არ დაიბეჭდება პირველი კრიტიკული წერილი ამ ნაწარმოებზე.²²

ცნობილი ფრანგი ლიტერატურული კრიტიკოსი შ. ო. სენტ-ბეფი წერს თავის წერილს მერიმეს შემოქმედებაზე და კერძოდ „კარმენზე“,²³ რაც წარმოადგენს პირველ პროფესიონალურ შეფასებას მერიმესთვის.

და მაინც ვფიქრობ, ყველაზე მთავარი მკითხველი მერიმეს ამ ნოველას ჟორჟ ბიზეს სახით ჰყავდა, რომელმაც ისე ფაქიზად წაიკითხა მისი ტექსტი, რომ არ დაუკარგა თავისი ფაბულა და ყველა ის ელემენტი, რომელიც ამ ნოველის განუმეორებელ ხიბლს წარმოადგენს. ლანდშაფტებიც დაგვანახა ბიზეს მუსიკამ და ესპანეთის ეგზოტიკური თვითმყოფადი სილამაზეც. რაც მთავარია, კარმენის არქეტიპული სახე შეინარჩუნა და გაამდიდრა ამ ხასიათის დრამატულობის სიღრმე - კარმენი განწირულია თავიდანვე - კარმენი თავის ბედისწერას ეწირება უყოყმანოდ.

20 [https://fr.wikisource.org/wiki/Carmen_\(Mérimée\)/Texte_entier](https://fr.wikisource.org/wiki/Carmen_(Mérimée)/Texte_entier) p. 94.

21 მერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრაL, 2011. - გვ. 150.

22 Eder, Antonia. „Carmen“ – Die harte Arbeit am Mythos. Von Prosper Mérimées Nouvelle zur Oper Georges Bizets. Département de langue et de littérature allemandes Université de Genève. 2011. S. 3. https://www.wk.sbg.ac.at/fileadmin/Media/arts_and_festival_culture/4eder_antonia_carmen_merimee_bizet.pdf

23 Sainte-Beuve Ch.-Aug. Prosper Mérimée. Le Moniteur universel 7 févr. 1853 p.155.

დონ ზოზე კი იბრძვის თავისი სიყვარულისთვის ყველა საშუალებით, რაც მის არსენალშია. მაგრამ მისი ბასკური იდალგოს მორალური ნორმა კარნახობს მას, თავისი ღირსება დაიცვას და ამიტომ ერთადერთი გზა ამის მისაღწევად მხოლოდ კარმენის მოკვლაა. ოპერის დასასრული ნოველის მესამე თავის ფინალურ სცენას თითქმის ზუსტად მიჰყვება და არის საოცრად მოქნილი და განსაკუთრებული დინამიზმით ხასიათდება, მიუხედავად თითქოსდა სტატიკური მიზანსცენისა.

ჟორჟ ბიზეს ნამდვილი სახელია ალექსანდრ-სეზარ-ლეოპოლდ ბიზე (Alexandre-César-Léopold Bizet (1838-1875), მაგრამ მას ყველა იცნობს როგორც ჟორჟ ბიზეს.



ჟორჟ ბიზე (1838-1875).

თავისი სოცოცხლის 36 წლის განმავლობაში ჟორჟ ბიზემ შექმნა შემდეგი ოპერები და ოპერეტები:

1. La maison du docteur, opéra comique – „ექიმის სახლი“ (დაახლ. 1855 წ.) - ერთმოქმედებიანი ოპერა, ბიზეს სოცოცხლეში არ დადგმულა.
2. Le docteur Miracle – „ექიმი სასწაული“ - ოპერეტა - 1856/57;
3. Don Procopio – „დონ პროკოპიო“ - ოპერა-ბუფა 1859; დაიდგა მონტე-კარლოში 1906 წელს;
4. La guzla de l'emir – „ემირის გუზლა“ - 1862, არ დადგმულა;
5. Ivan IV – „ივანე მრისხანე“ - ოპერა 5 მოქმ. 1862-1865, პირველად დაიდგა სრულად 1951 წელს;
6. Les pêcheurs de perles – „მარგალიტის მაძიებლები“ - ოპერა 3 მოქმ. 1863;

7. La jolie fille de Perth – „ახალგაზრდა პერტელი ქალი“ უ. სკოტის მიხედვით, ოპერა 4 მოქმ. 1866;
8. Marlborough s'en va-t-en guerre – „მარლბორო მიდის ომში“ - ოპერეტა 4 მოქმ. 1867, შემორჩენილია 1 მოქმედება, დანარჩენი დაკარგულია;
9. La coupe du roi de Thulé – „თუელს მეფის თასი“ - გოეთეს მიხედვით, ოპერა 3 მოქმ. 1868-1869, შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები, პირველად შესრულდა 1955 წელს BBC რადიოზე;
10. Clarisse Harlowe – „კლარისა ჰარლოუ“ - ოპერა კომიკი 3 მოქმ. 1870-1871, დაუსრულებელი, არ დადგმულა;
11. Grisélidis – „გრიზელდა“ - 1 მოქმ. 1871, ვ. სარდუს მიხედვით, დაუსრულებელი, არ დადგმულა;
12. Djamileh – „ჯამილე“ - ოპერა კომიკი 1 მოქმ. ა. დე მიუსეს მიხედვით, 1871;
13. L'Arlésienne – „არლელი ქალი“, მუსიკა სპექტაკლისათვის 3 მოქმ. ა. დოდეს მიხედვით, 1872;
14. Don Rodrigue – „დონ როდრიგე“ - ოპერა 5 მოქმ. 1872, დაუსრულებელი, არ დადგმულა;
15. Carmen - „კარმენი“ - ოპერა 4 მოქმ. 1873-74, დაიდგა ოპერა კომიკში 3 მარტს 1875 წელს.

ბიზე არის ასევე მრავალი რომანსის და საფორტეპიანო და საორგესტრო ნაწარმოების ავტორი. ის ცნობილი იყო როგორც ვირტუოზი პიანისტი.

სამწუხაროა, რომ ამ 15 ნაწარმოებიდან მხოლოდ 2 იდგმება ხშირად - „მარგალიტის მამიებლები“ და „კარმენი“. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, „კარმენი“ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ოპერაა. წელს ამ ოპერის შექმნიდან 150 წელი შესრულდა!

ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენი“ დაიწერა 1874-1875 წლებში, ხოლო მისი პრემიერა შედგა პარიზის ოპერა კომიკში (Opéra Comique) 1875 წლის 3 მარტს. ლიბრეტოს ავტორები არიან ანრი მეილჰა (Henri Meilhac 1831-1897) და ლუდოვიკ ჰალევი (Ludovic Halévy 1834-1908). ეს ორივე ავტორი ცნობილი იყო როგორც ჟაკ ოფენბახის ოპერეტების ლიბრეტისტები. ბიზემ რომ გაიგო ოპერის დირექტორისგან, თუ ვინ დაწერდა ლიბრეტოს მისი „კარმენისთვის“, წამოიძახა: „წარმომიდგენია რა მხიარულ ოპერას დამიწერენ!“ ამიტომ კომპოზიტორი თავად ჩაერთო ლიბრეტოზე მუშაობის პროცესში. და ბევრი რამ სწორედ ბიზეს ძალისხმევითაა შენარჩუნებული მერიმეს ტექსტიდან. ჟორჟ ბიზე თავის სიცოცხლეში უფრო აღიარებული იყო როგორც გაორგესტრების ოსტატი. ის იყო შარლ გუნოს (რომელიც ბიზეს კონსერვატორიაში ასწავლიდა) უმცროსი მეგობარი. ის გუნოს ენმარებოდა მისი ნაწარმოებების გაორგესტრებაში. ასევე ბიზე იყო ფრომანტელ ჰალევის მოსწავლე და დიდხანს მოიხსენიებოდა როგორც ჰალევის შევირდი. მართალია, ბიზე შემდეგ მისი სიძე გახდა, მაგრამ ფრომანტელ ჰალევი ვერ მოესწრო ქორწილს 1869 წელს.

მართალია, „კარმენი“ ფორმალურად ოპერა-კომიკის (opéra-comique) ჟანრში დაიწერა, რასაც ვრცელი დიალოგებიც მოწმობდა,²⁴ მაგრამ სინამდვილეში ეს ნაწარმოები წარმოადგენდა სრულიად ახალ სიტყვას საოპერო ხელოვნებაში. ბიზემ შემოიტანა ოპერაში მუსიკალური ფორმის დეტალიზაციისა და ვრცელი მუსიკალურ-დრამატული სცენების სინთეზი. ასევე მნიშვნელოვანი სიახლე იყო „ეგზოტიკური“ სიუჟეტისა და მუსიკალური რემინისცენციების დამკვიდრება. ძალიან ბევრი თვლიდა, რომ ეს სიუჟეტი არ იყო შესაფერისი ოპერისათვის. სცენაზე სოციალური მარგინალების გამოყვანა არ მოსწონდათ.



კარმენის პირველი შემსრულებელი
სელესტინ გალი-მარიე
(Célestine Galli-Marié)



ოპერა „კარმენის“ პირველი დადგმის პლაკატი, 1875.
პლაკატის მხატვარი პრიუდან-ლუი ლერე (1820-1879).

ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ იმჟამინდელმა მაყურებელმა ოპერა ვერ მიიღო ჯეროვნად - მაყურებელი არ იყო მზად ამ სიახლისათვის. მაგრამ პრემიერა არ ჩაგარდა. კომპოზიტორი განიცდიდა თავისი ქმნილებების ძალზე თავშეკავებულ წარმატებას, ხოლო „კარმენის“ გულგრილმა მიღებამ ბიზეზე, რომელიც იმხანად უკვე ავადმყოფობდა, ნეგატიურად იმოქმედა. ის გარდაიცვალა-

²⁴ ეს სამეტყველო რეჩიტატივებიანი ვარიანტი არის ავთენტური ავტორისეული ვერსია. ის სულაც არ იყო წარუმატებელი და ოპერა-კომიკეში, ჯამში, თითქმის 3000-ჯერ შესრულდა.

ლა გულის შეტევით 1875 წლის 3 ივნისს. კომპოზიტორი ვერ მოესწრო თავისი „კარმენის“ გამაოგნებელ ტრიუმფს - ეს ტრიუმფი მოჰყვა ოპერის პრემიერას ვენაში 1875 წლის ოქტომბერში (პრემიერას ესწრებოდნენ რიხარდ ვაგნერი და იოჰანეს ბრამსი და ორივემ გამოხატა დიდი აღფრთოვანება ბიზეს მუსიკით). ამ პრემიერისთვის ერნესტ გირომ დაწერა მუსიკა რეჩიტატივებისთვის. ამ დროიდან მოყოლებული, ოპერა სრულდება გიროს რეჩიტატივებით. ვენის პრემიერის დიდი წარმატების შემდეგ დაიწყო ამ ოპერის ტრიუმფალური სვლა მსოფლიოში.

რა თქმა უნდა, ოპერის წარმატება, პირველ რიგში, მუსიკის დამსახურებაა. მაგრამ დრამატურგიული ხაზიც არ უნდა დავივიწყოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოპერის ლიბრეტო საკმაოდ ზუსტად მიჰყვება მერიმეს ტექსტს. ოპერის ჟანრის თავისებურებიდან გამომდინარე, კარმენს ჰყავს ორი მეგობარი ბოშა ქალი - ფრასკიტა და მერსედესი, ასევე კონტრაბანდისტები - დანკაირო და რემენდადო. ასევე გაწერილია სამხედროების ოფიცრების - ცუნიგას და მორალესის პარტიები. და დონ ხოზეს ჰყავს საცოლე - ბასკი გოგონა მიკაელა.

მიკაელას პარტია მუსიკალურად მკვეთრად ღირიკულია. უნდა აღინიშნოს, რომ მიკაელას სახე შეიქმნა მერიმეს ტექსტის ერთი წინადადებიდან: „მამინ ახალგაზრდა ვიყავი, დღენიდავ ჩემს მხარეზე ვფიქრობდი და ვერ წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა, რომ ლამაზ ქალს ლურჯი ქვედა ტანი არ სცმოდა და მხრებზე ნაწნავები არ ჰქონოდა დაყრილი“;²⁵ - ამბობს დონ ხოზე მერიმესთან.

ეს „ლურჯი ქვედატანი და მხრებზე დაყრილი ნაწნავები“ ფიგურირებს ლიბრეტოს რემარკაში და ცუნიგას და მორალესის სასიძლერო რეჩიტატივებში.

დასვენის სახით ვიტყვი, რომ ვფიქრობ, ყველაზე მთავარი მკითხველი მერიმეს ამ ნოველას ჟორჟ ბიზეს სახით ჰყავდა, რომელმაც ისე ფაქიზად წაიკითხა მისი ტექსტი, რომ არ დაუკარგა თავისი ფაბულა და ყველა ის ელემენტი, რომელიც ამ ნოველის განუმეორებელ ხიბლს წარმოადგენს. ლანდშაფტებიც დაგვანახა ბიზეს მუსიკამ და ესპანეთის ეგზოტიკური თვითმყოფადი სილამაზე. რაც მთავარია, კარმენის არქეტაპული სახე შეინარჩუნა და გაამდიდრა ამ ხასიათის დრამატულობის სიღრმე - კარმენი განწირულია თავიდანვე - კარმენი თავის ბედისწერას ეწირება უყოყმანოდ.

დონ ხოზე კი იბრძვის თავისი სიყვარულისთვის ყველა საშუალებით, რაც მის არსენალშია. მაგრამ მისი ბასკური იდალგოს მორალური კრედო კარნახობს მას თავისი ღირსება დაიცვას და ამიტომ ერთადერთი გზა ამის მისაღწევად მხოლოდ კარმენის მოკვლაა. ოპერის დასასრული ნოველის მესამე თავის ფინალურ სცენას თითქმის ზუსტად მიჰყვება, საოცრად მოქნილია და განსაკუთრებული დინამიზმით ხასიათდება.

გენიალური ოპერა და მშვენიერი ნოველა - ორივე იუბილარია წელს - პროსპერ მერიმეს „კარმენი“ 180 წლის, ხოლო ჟორჟ ბიზეს „კარმენი“ - 150 წლის გახდა.

25 მერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრა L, 2011. გვ. 112.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შერიმე, პროსპერ, მოთხრობები. წიგნში: მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, ტ. 3. გამომცემლობა პალიტრა L, 2011
2. Galsworthy, John. Flowering Wilderness. Chapter 20. Penguin Books, London, 2001.
3. Nietzsche, Fr. Der Fall Wagner. 1888. S. 1. Zit. Nach: http://www.zeno.org/Philosophie/M/Nietzsche,+Friedrich/Der+Fall+Wagner/Der+Fall+Wagner#google_vignette
4. Boynton, Susan (n. d.). “Bizet: Carmen – Prosper Mérimée’s Novella, Carmen. www.columbia.edu.
5. Kogelnig, Werner, Auf der Suche nach dem Ailleurs. Der Exotismus in ausgewählten französischen Novellen des 19. Jahrhunderts: Mérimée, Stendhal, Balzac und Maupassant. Dissertation. Alpen-Adria-Universität Klagenfurt, 2009.
6. F. K. Stanzel, Theorie des Erzählens. Vandenhoeck & Ruprecht. UTB. 7. Aufl. Göttingen 2001. S. 109-130; S. 242-268.
7. Robinson, Peter (1992). “Mérimée’s Carmen”. In McClary, Susan (ed.). Georges Bizet, Carmen. Cambridge University Press. p. 1. Retrieved 25 January 2011.
8. Möller, Kirsten, Carmen: Ein Mythos in Literatur, Film und Kunst. Böhlau, Köln, Weimar, Wien 2010.
9. Bizet, Georges. Carmen. Peters-Textbücher (französisch/Deutsch). Edition Peters, Leipzig, 1982. S. 44.
10. Sainte-Beuve Ch.-Aug. Prosper Mérimée. Le Moniteur universel 7 févr. 1853 p.155.
11. [https://fr.wikisource.org/wiki/Carmen_\(Mérimée\)/Texte_entier](https://fr.wikisource.org/wiki/Carmen_(Mérimée)/Texte_entier)
12. Eder, Antonia. „Carmen“ – Die harte Arbeit am Mythos. Von Prosper Mérimées Novelle zur Oper Georges Bizets. Département de langue et de littérature allemandes Université de Genève. 2011. S. 3. https://www.wk.sbg.ac.at/fileadmin/Media/arts_and_festival_culture/4eder_antonia_carmen_merimee_bizet.pdf

PROSPER MÉRIMÉE'S NOVELLA "CARMEN" AND GEORGES BIZET'S OPERA "CARMEN" – A COMPARATIVE ANALYSIS

Summary

Prosper Mérimée's novella "Carmen" was written in 1845, and Georges Bizet's opera in 1875. Only during the first 30 years after its creation was Mérimée's text read as a standalone literary work. After 1875, Bizet's opera was his constant companion. Whether he likes it or not, readers of this novella always draw parallels with Bizet's opera.

Prosper Mérimée (1803–1870) is one of the founders of French realism, although his works also have a romantic touch. Although Mérimée was a friend and admirer of Stendhal and a great admirer of Victor Hugo, he nevertheless chose a realistic direction for his literary work. Mérimée is a grand master of the novella. His "Carmen," created in this very genre, was written in 1845, published on October 1 of that year in France's leading literary magazine, "La Revue des deux mondes," and first published as a book in 1846. The novella "Carmen" belongs to Mérimée's second creative phase and is thus the work of a mature writer. In it, the author uses a unique narrative technique: the voices of the narrator and the author are combined, and the narrative, which is told in the first person, is told in the first, second, and fourth chapters in the first person of the author and narrator, and in the third chapter in the first person of the novella's key character, Don José. The third chapter presents the plot of "Carmen" itself. The first and fourth chapters are a kind of prologue and epilogue, a framework, while the second chapter introduces the voices of the narrator and the author into the plot. This process begins in part in the first chapter, or rather, in the exposition, which the author further develops and carries over into the second chapter. The second chapter is also dedicated to the introduction of Carmen into the story, whom we first encounter from the perspective of the author and narrator, while the third chapter tells the story entirely from Don José's perspective and contains all assessments and characterizations from his perspective. Therefore, it can be concluded that this novella is a homodiegetic authorial narrative type.

It is noteworthy that P. In this novella, Merimee uses a peculiar way of ending the text – after a sort of digression into the customs and linguistic peculiarities of the Roma, the author adds: "This is enough to give readers of 'Carmen' a positive impression of my engagement with the novel. I conclude with a proverb that is very appropriate here: 'En retudi panda nasti abela macha' – A fly cannot fly into a closed mouth."

It's safe to say that this saying originates from the author and is not a product of Spanish folklore. It is as much an invention of the author's pseudo-ethnographic excavations as the entire fourth chapter. After all, Prosper Mérimée was famous for his mystifications. Therefore, this work initially gave the impression of a travelogue, and not a single professional critic paid it any attention. Recognition came later—in 1852, the first critical letter on this work was published. The famous French literary critic Ch.-Aug. Sainte-Beuve wrote a letter about Mérimée's work, and in particular about "Carmen." This was the first professional assessment of Mérimée. And yet, I believe that Mérimée's most important reader of this novella was Georges Bizet, who read the text so carefully that he missed neither the plot nor all the elements that make up the novella's unique charm.

Bizet's music also showed us landscapes and the exotic, unique beauty of Spain. Most importantly, however, the archetypal image of Carmen was preserved and the drama of this character was deepened—Carmen is doomed from the very beginning—Carmen surrenders to her fate without hesitation. Don José fights for his love with every means at his disposal. But his moral code as a Basque hidalgo dictates that he must defend his honor. And the only way to achieve this is to kill Carmen. The end of the opera follows almost exactly the final scene of the third chapter of the novel and, despite the seemingly static production, is remarkably smooth and characterized by exceptional dynamism. The dramaturgy of Bizet's "Carmen" draws heavily on literary sources. Georges Bizet's opera Carmen was written between 1874 and 1875 and premiered on March 3, 1875, at the Opéra Comique in Paris. The libretto was written by Henri Meilhac (1831–1897) and Ludovic Halévy (1834–1908). Both authors were well-known librettists for the operettas of Jacques Offenbach. The composer himself was involved in the creation of the libretto. And it was precisely through Bizet's efforts that much of Mérimée's text has been preserved. Although "Carmen" formally belongs to the opéra-comique genre, as evidenced by the extensive dialogue, this work actually represents a completely new era in operatic art. Bizet introduced a synthesis of detailed musical form and extended musical-dramatic scenes into the opera. Another important innovation was the introduction of an "exotic" plot and musical reminiscences. Many people felt that this story was not suitable for an opera. They disliked bringing marginalized social groups onto the stage. Therefore, it is not surprising that the opera was not well received by audiences at the time—the public was not ready for this innovation. Yet the premiere was not a failure. The composer had only very limited success with his works, and the lukewarm reception of "Carmen" had a negative impact on Bizet, who was already ill at the time. He died of a heart attack on June 3, 1875. The composer did not live to see the overwhelming triumph of his "Carmen" – this triumph followed the opera's premiere in Vienna in October 1875 (Richard Wagner and Johannes Brahms were

present at the premiere and both expressed their great admiration for Bizet's music). For this premiere, Ernest Giraud wrote music for the recitatives. From this point on, the opera was performed with Giro's recitatives. Following the great success of the Vienna premiere, this opera began its triumphant march around the world. Of course, the opera's success is primarily due to the music. But the dramatic line should not be forgotten either. As already mentioned, the libretto of the opera follows Mérimée's text almost exactly. Due to the peculiarities of the opera genre, Carmen has two gypsy friends – Frasquita and Mercedes – as well as smugglers – Dancairo and Remendado. The roles of the military officers Zuniga and Morales are also performed. And Don José has a fiancée – the Basque girl Micaela. Micaela's part is musically distinctly lyrical. It is worth noting that Micaela's character emerged from a single sentence in Mérimée's text: "I was young then, thinking about myself all day long, and I couldn't imagine that a beautiful woman couldn't wear a blue bodice and braids hanging over her shoulders," Don José tells Mérimée. This "blue skirt and braids hanging over her shoulders" appear in the libretto's remark and in the recitatives by Zuniga and Morales. A brilliant opera and a beautiful novella – both are celebrating anniversaries this year: Prosper Mérimée's "Carmen" turns 180, Georges Bizet's "Carmen" 150. that Micaela's character emerged from a single sentence in Mérimée's text: "I was young then, thinking about myself all day long, and couldn't imagine that a beautiful woman couldn't wear a blue bodice and braids hanging over her shoulders," Don José tells Mérimée. This "blue skirt and braids hanging over her shoulders" appear in the libretto's commentary and in the recitatives by Zuniga and Morales. A brilliant opera and a beautiful novella – both are celebrating anniversaries this year: Prosper Mérimée's "Carmen" turns 180, Georges Bizet's "Carmen" 150. that Micaela's character emerged from a single sentence in Mérimée's text: "I was young then, thinking about myself all day long, and couldn't imagine that a beautiful woman couldn't wear a blue bodice and braids hanging over her shoulders," Don José tells Mérimée. This "blue skirt and braids hanging over her shoulders" appear in the libretto's commentary and in the recitatives by Zuniga and Morales. A brilliant opera and a beautiful novella – both are celebrating anniversaries this year: Prosper Mérimée's "Carmen" turns 180, Georges Bizet's "Carmen" 150.

PROSPER MÉRIMÉE'S NOVELLE „CARMEN“ UND GEORGES BIZET'S OPER „CARMEN“ - EINE VERGLEICHENDE ANALYSE

Zusammenfassung

Prosper Mérimées Novelle „Carmen“ entstand 1845, Georges Bizets Oper 1875. Nur in den ersten 30 Jahren nach seiner Entstehung wurde Mérimées Text als eigenständiges literarisches Werk gelesen. Nach 1875 war Bizets Oper sein ständiger „Begleiter“. Nolens Volens - die Leser dieser Novelle ziehen immer Parallelen zu Bizets Oper.

Prosper Mérimée (1803–1870) ist einer der Begründer des französischen Realismus, obwohl seine Werke auch einen romantischen Anflug haben. Obwohl Mérimée ein Freund und Bewunderer Stendhals und großer Bewunderer Victor Hugos war, wählte er für sein literarisches Werk dennoch eine realistische Richtung. Mérimée ist ein Großmeister der Novelle. Seine in ebendiesem Genre geschaffene „Carmen“ entstand 1845, wurde am 1. Oktober desselben Jahres in Frankreichs führender Literaturzeitschrift „La Revue des deux mondes“ veröffentlicht und 1846 erstmals als Buch herausgegeben. Die Novelle „Carmen“ gehört zur zweiten Schaffensphase Mérimées und ist somit das Werk eines reifen Schriftstellers. Darin verwendet der Autor eine einzigartige Erzähltechnik: Die Stimmen des Erzählers und des Autors werden kombiniert, und die Erzählung, die in der ersten Person erfolgt, wird im ersten, zweiten und vierten Kapitel in der ersten Person des Autors und des Erzählers geführt und im dritten Kapitel in der ersten Person der Schlüsselfigur der Novelle - Don José. Das dritte Kapitel stellt die unmittelbare Handlung von „Carmen“ dar. Das erste und vierte Kapitel ist eine Art Prolog und Epilog, ein Rahmen, während das zweite Kapitel die Einführung der Stimmen des Erzählers und des Autors in die Handlung darstellt. Dieser Prozess beginnt zum Teil bereits im ersten Kapitel bzw. in der Exposition, die vom Autor weiter ausgebaut und in das zweite Kapitel übernommen wird. Das zweite Kapitel ist zudem der Einführung von Carmen in die Geschichte gewidmet, der wir zunächst aus der Perspektive des Autors und Erzählers begegnen, während das dritte Kapitel die Geschichte vollständig aus der Perspektive von Don José berichtet und sämtliche Einschätzungen und Charakterisierungen aus seiner Perspektive enthält. Demnach lässt sich schlussfolgern, dass es sich bei dieser Novelle um einen homodiegetischen auktorialen Erzähltyp handelt.

In dieser Novelle verwendet Mérimée eine eigentümliche Art, den Text zu beenden – nach einer Art Exkurs in die Sitten und sprachlichen Besonderheiten der Roma fügt die Autorin hinzu: „Dies reicht aus, um den Lesern von „Carmen“ einen positiven

Eindruck von meiner Beschäftigung mit dem Roman zu vermitteln. Ich schließe mit einem Sprichwort, das hier sehr passend ist: „En retudi panda nasti abela macha“, – Eine Fliege kann nicht in einen geschlossenen Mund fliegen.“ Man kann mit Sicherheit sagen, dass dieses Sprichwort vom Autor stammt und kein Produkt spanischer Folklore ist. Es ist ebenso eine Erfindung der pseudoethnografischen Ausgrabungen des Autors wie das gesamte vierte Kapitel. Schließlich war Prosper Mérimée für seine Mystifikationen berühmt. Deshalb hinterließ dieses Werk zunächst den Eindruck eines Reiseberichts, und kein einziger professioneller Kritiker beachtete es. Die Anerkennung kam später – 1852 wurde der erste kritische Brief zu diesem Werk veröffentlicht – der berühmte französische Literaturkritiker Ch.-Aug. Sainte-Beuve schrieb einen Brief über Mérimées Werk und insbesondere über "Carmen". Dies war die erste professionelle Beurteilung für Merimee. Und doch glaube ich, dass Mérimées wichtigster Leser dieser Novelle Georges Bizet war, der den Text so sorgfältig las, dass ihm weder die Handlung noch alle Elemente entgingen, die den einzigartigen Charme dieser Novelle ausmachen.

Bizets Musik zeigte uns auch Landschaften und die exotische, einzigartige Schönheit Spaniens. Am wichtigsten ist jedoch, dass das archetypische Bild von Carmen bewahrt und die Dramatik dieser Figur tiefer gefasst wurde – Carmen ist von Anfang an dem Untergang geweiht – Carmen ergibt sich ohne Zögern ihrem Schicksal. Don José kämpft mit allen Mitteln, die ihm zur Verfügung stehen, um seine Liebe. Doch sein Moralkodex als eines baskischen Hidalgos schreibt ihm vor, dass er seine Ehre verteidigen muss. Und die einzige Möglichkeit, dies zu erreichen, besteht darin, Carmen zu töten. Der Schluss der Oper folgt nahezu exakt der Schlusszene des dritten Kapitels des Romans und ist trotz der scheinbar statischen Inszenierung bemerkenswert geschmeidig und von außergewöhnlicher Dynamik geprägt. Die Dramaturgie von Bizets „Carmen“ stützt sich stark auf literarische Vorlage. Georges Bizets Oper Carmen entstand zwischen 1874 und 1875 und wurde am 3. März 1875 an der Opéra Comique in Paris uraufgeführt. Das Libretto wurde von Henri Meilhac (1831–1897) und Ludovic Halévy (1834–1908) geschrieben. Beide Autoren waren als Librettisten für die Operetten von Jacques Offenbach bekannt. Der Komponist war selbst in den Entstehungsprozess des Librettos involviert. Und gerade durch Bizets Bemühungen ist vieles aus Mérimées Text erhalten geblieben. Obwohl „Carmen“ formal dem Genre der Opéra-comique zuzuordnen ist, was die umfangreichen Dialoge belegen, stellt dieses Werk in Wirklichkeit ein völlig neues Zeitalter der Opernkunst dar. Bizet führte eine Synthese aus detaillierter musikalischer Form und ausgedehnten musikalisch-dramatischen Szenen in die Oper ein. Eine weitere wichtige Neuerung war die Einführung einer „exotischen“ Handlung und musikalischer Reminiszenzen. Viele Leute waren der Meinung, dass diese Geschichte nicht für eine Oper geeignet sei. Sie mochten es nicht, soziale Marginalgruppen auf die Bühne zu bringen. Daher

ist es nicht verwunderlich, dass die Oper vom damaligen Publikum nicht gebührend aufgenommen wurde – das Publikum war für diese Neuerung nicht bereit. Doch die Premiere war kein Misserfolg. Der Komponist hatte mit seinen Werken nur sehr begrenzten Erfolg und die laue Aufnahme von „Carmen“ wirkte sich negativ auf Bizet aus, der zu diesem Zeitpunkt bereits krank war. Er starb am 3. Juni 1875 an einem Herzinfarkt. Der Komponist erlebte den überwältigenden Triumph seiner „Carmen“ nicht mehr – dieser Triumph folgte der Premiere der Oper in Wien im Oktober 1875 (Richard Wagner und Johannes Brahms waren bei der Premiere anwesend und äußerten beide ihre große Bewunderung für Bizets Musik). Für diese Premiere schrieb Ernest Giraud Musik für die Rezitative. Von diesem Zeitpunkt an wird die Oper mit Giros Rezitativien aufgeführt. Nach dem großen Erfolg der Wiener Premiere trat diese Oper ihren Siegeszug um die Welt an. Natürlich ist der Erfolg der Oper in erster Linie der Musik zu verdanken. Aber auch die dramaturgische Linie darf nicht vergessen werden. Wie bereits erwähnt, folgt das Libretto der Oper ziemlich genau dem Text von Mérimée. Aufgrund der Besonderheiten des Operngenres hat Carmen zwei Zigeunerfreundinnen – Frasquita und Mercedes – sowie Schmuggler – Dancairo und Remendado. Die Rollen der Militäroffiziere Zuniga und Morales sind ebenfalls ausgeführt. Und Don Jose hat eine Verlobte – das baskische Mädchen Micaela. Mikaelas Part ist musikalisch ausgesprochen lyrisch. Es ist anzumerken, dass Micaelas Gestalt aus einem einzigen Satz in Merimees Text entstand: „Ich war damals jung, dachte den ganzen Tag an mich selbst und konnte mir nicht vorstellen, dass eine schöne Frau kein blaues Mieder und keine über die Schultern überhängenden Zöpfe tragen könnte“, sagt Don José zu Merimee. Dieser „blaue Rock und die über die Schultern überhängenden Zöpfe“ erscheinen in der Bemerkung des Librettos und in den Rezitativien von Zuniga und Morales. Eine brillante Oper und eine wunderschöne Novelle – beide feiern in diesem Jahr Jubiläen: Prosper Mérimées „Carmen“ wird 180, Georges Bizets „Carmen“ 150 Jahre alt.